თბილისის თავისუფალი აკადემიის

ხარისხის მართვის პოლიტიკა

თ ბ ი ლ ი ს ი

მუხლი 1. ხარისხის მართვის პოლიტიკის არსი

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში „აკადემია“) ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება უმაღლეს განათლებაში ხარისხის ევროპულ და ეროვნულ სააგენტოებში შემუშავებულ სტანდარტებს და ძირითად მიმართულებებს. აღნიშნული დოკუმენტი გამომდინარეობს და თანხვედრაშია აკადემიის მიზნებთან და მისიასთან. აკადემიის ხარისხის მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხელშეწყობა;
- ინტერნაციონალიზაციის ხარისხის განვითარება;
- საზოგადოების განვითარებაში აკადემიის როლის გაზრდა.

1.2. აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის განვითარება მოიცავს:

- შიდა ხარისხის პროცედურების შემუშავება, განხორციელება და შეფასება;
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდულ შემოწმება;
- სასწავლო რესურსების ხარისხის შემოწმება;
- სტუდენტებისა და პროფესორების სასწავლო და სამუშაო გარემოს ხარისხის შემოწმება;
- სალექციო პროცესის მონიტორინგი;
- სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შიდა ხარისხის პროცედურებში ჩართვა.

1.3. საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება მოიცავს:

- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და მოქმედი პროგრამების მოდიფიცირება. სემესტრის დასაწყისში სილაბუსების გადახედვა და განახლება;
- ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
- აკადემიური და მოწვეული პროფესორების განვითარება და სამეცნიერო პროექტებში ჩართულობა;

- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; პროგრამის შეფასება; აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება და ა.შ);
- სტუდენტთა მოთხოვნებზე მორგებული, მოქნილი გრაფიკი;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- საგამოცდო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.

1.4. ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება მოიცავს:

- მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა პროფესიული განვითარებისთვის და წახალისება სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე;
- ტრენინგების უზრუნველყოფა მოწვეული და აკადემიური პროფესორებისთვის;
- მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა;
- მატერიალური რესურსის გაუმჯობესება, რაც ითვალისწინებს საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების გაუმჯობესებას.

1.5. სტუდენტთა მომსახურების სერვისების ხელშეწყობა მოიცავს:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო შეხვედრების დანერგვა/უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სტუდენტთა კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- სტუდენტური ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

1.6. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის განვითარება მოიცავს:

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა;
- პროფესორთა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაში ხარისხის მართვის სამსახურის

მონაწილეობა.

1.7. საზოგადოების განვითარებაში აკადემიის როლის გაზრდა მოიცავს:

- საგანმანათლებლო - შემეცნებით, ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აკადემიის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული პეროსნალისა და სტუდენტების ჩართულობის ხარისხის ამაღლება.